განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაზიანებასთან, იერსახის დამახინჯებასთან, გარე რეკლამების განთავსებასთან და გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების გახშირება და ამ სამართალდარღვევებისთვის დადგენილი სანქციების შეუსაბამობა ჩადენილი ქმედების მნიშვნელობასა და სიმძიმესთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია, გამკაცრდეს სანქციები რიგ სამართალდარღვევებზე და ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს მიეცეს შესაძლებლობა დამრღვევს ადგილზევე შეუფარდოს სანქცია, საჯარიმო ოქმის (ქვითრის) შევსების გზით, რაც უფრო ეფექტურს გახდის აღნიშნული ორგანოების საქმიანობას და მოახდეს სამომვლოდ სამართალდარღვევების პრევენციას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად:

1. კოდექსს ემატება 150^2 და 150^3 მუხლები.

150^2-ე მუხლი ითვალისწინებს სანქციას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯებისათვის“. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა), იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა კი 1000 ლარიან ჯარიმას (ნაცვლად 500 ლარისა). ასევე, იერსახის დამახინჯებად განიხილება სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (ნაცვლად 500 ლარისა), ხოლო ამ ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევ დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით (ნაცვლად 1000 ლარისა).

აღნიშნული სამართალდარღვევები დღესაც მოქმედებს მოქმედი კოდექსის მიხედვით, თუმცა ის მუხლი ეხება ზოგადად ყველა ტერიტორიას. წარმოდგენილი მუხლი

კი ცალკე დაარეგულირებს მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩადენილ აღნიშნულ სამართალდარღვევებისათვის სანქციების საკითხს.

150[3]-ე მუხლი ითვალისწინებს სანქციას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებურად შეცვლისათვის“, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებური შეცვლა, მათ შორის, შენობა-ნაგებობის ფერის შეცვლა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით (ნაცვლად 200 ლარისა). სხვა დარღვევები და სანქციები, რჩება უცვლელი, როგორც სხვა თვითმმართველი ტერიტორიების შემთხვევებში.

2. 152[3]-ე მუხლში შედის ცვლილება, რომლის პირველი ნაწილის თანახმად დასჯადი ქმედება ხდება არამარტო ქ. თბილისის ტერიტორიაზე ეზოების, სკვერების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, <u>არამედ მათი დაზიანებაც.</u> ამით, უბრალოდ მოხდება სამართალდარღვევის სახის დაზუსტება, რადგან დაზიანება არ იყო პირდაპირ მითითებული მოცემულ მუხლში, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევდა გაუგებრობას პრაქტიკაში. ამავე, ცვლილებით იზრდება ჯარიმის ოდენობებიც: ფიზიკური პირის შემთხვევაში 500 ლარიანი ჯარიმა ორმაგდება (ხდება 1000 ლარი), იურიდიული პირის შემთხვევაში კი 2000 ლარიანი ჯარიმა იზრდება 3000 ლარამდე. მკაცრდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ დამცავ ზონაში ზემოხსენებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობაც: ფიზიკური პირის შემთხვევაში 1000 ლარიანი ჯარიმა ორმაგდება (ხდება 2000 ლარი), იურიდიული პირის შემთხვევაში კი 4000 ლარიანი ჯარიმა იზრდება 6000 ლარამდე.

3. 153[6]-ე მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის განხორციელება, შესაბამისი ნებართვის გარეშე, სატრანსპორტო ან მასზე მისაბმელი საშუალების, ან სხვა მექანიკურად მოძრავი საშუალების გამოყენებით გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით და ამავე დროს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას.

ცვლილებით, ასევე მკაცრდება **153[6] მუხლით** გათვალისწინებული ქმედებებისათვის გათვალისწინებული ჯარიმების ოდენობები. კერძოდ, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის განხორციელება, შესაბამისი ნებართვის გარეშე, გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 20 ლარისა), ხოლო იგივე ქმედების ჩადენა განმეორებით იწვევს სამართალდამრღვევი პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით (ნაცვლად 100 ლარისა). ასევე, იზრდება უფლებამოსილი პირის მოთხოვნების დაუმორჩილებისათვის განკუთვნილი ჯარიმაც 50 ლარიდან 200 ლარამდე.

4. კოდექსს ემატება 153[8] მუხლი, რომელიც ადგენს სანქციას ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევისათვის და შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე რეკლამის განთავსებისათვის, კერძოდ: ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევისათვის სამართალდამრღვევი ექვემდებარება დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობის (ნაცვლად 300 ლარისა), ხოლო შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე რეკლამის განთავსებისათვის 3000 ლარის ოდენობით (ნაცვლად 500 ლარისა).

აღნიშნული სამართალდარღვევები დღესაც მოქმედებს მოქმედი კოდექსის მიხედვით, თუმცა ის მუხლი ეხება ზოგადად ყველა ტერიტორიას. წარმოდგენილი მუხლი

კი ცალკე დაარეგულირებს მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩადენილ აღნიშნულ სამართალდარღვევებისათვის სანქციების საკითხს.

5. კოდექსს ემატება 158^3 და 158^4 მუხლები:

ა) 158^3 მუხლის თანახმად, დგინდება სანქცია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეკლამის დაკვეთის, წარმოების, გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის და იგი განისაზღვრება 1000 ლარით ფიზიკური პირებისათვის, ხოლო იურიდიული პირებისათვის 3000 ლარით (ნაცვლად 500 ლარისა).

დგინდება ასევე სანქციები აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის და იგი განისაზღვრება ფიზიკური პირისათვის 1000 ლარით (ნაცვლად 200 ლარისა), ხოლო იურიდიული პირისათვის 3000 ლარით (ნაცვლად 300 ლარისა). მკაცრდება ჯარიმები მათი განმეორებით ჩადენისათვისაც. ამასთან, საგულისხმოა, რომ ამ სამართალდარღვევებისათვის, დღეს მოქმედი კოდექსით, ჯერ გათვალისწინებული იყო გაფრთხილება.

ბ) 158^4 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება) გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (ნაცვლად რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობისა), ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების ან ორგანიზაციისას კი - 3000 ლარის ოდენობით (ნაცვლად რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობისა). ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედების ჩადენა ითვალისწინებს გაორმაგებული ოდენობით დაჯარიმებას.

აღნიშნული სამართალდარღვევები დღესაც მოქმედებს მოქმედი კოდექსის მიხედვით, თუმცა ის მუხლი ეხება ზოგადად ყველა ტერიტორიას. წარმოდგენილი მუხლი კი ცალკე დაარეგულირებს მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩადენილ აღნიშნულ სამართალდარღვევებისათვის სანქციების საკითხს.

6. ცვლილება შედის კოდექსის 208-ე, 209 მუხლის პირველ და 2^1 ნაწილებში, 209^3 მუხლის პირველ, 2^1, მე-3 და მე-4 ნაწილებში, 239-ე მუხლის მე-13, მე-14 და მე-27 ნაწილებში, 242-ე მუხლის 3^1 ნაწილში რომლის მიხედვითაც 150^2, 152^3, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^8, 158^3 და 158^4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების ჩადენისას საჯარიმო ოქმის შედგენის, ჯარიმის განსაზღვრის და სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება გააჩნია თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურს ან მის მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. 208-ე მუხლში ასევე ხდება ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ, ამავე მუხლის შინაარსიდან ხდება 152^3 მუხლის ამოღება, რადგან აღნიშნული მუხლის საფუძველზე. ამავე კოდექსის 209^3 მუხლის 3^1 ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი ორგანო ადგილზევე შეუფარდებს სამართალდამრღვევს სანქციას და არა სასამართლოს მეშვეობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის ასიგნებებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს თბილისის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკეულ შემთხვევებში ჯარიმის ოდენობის ზრდა, ასევე ხდება დაჯარიმების ახალი შემთხვევის (მუხლი 153^6 მე-4 ნაწილი) დამატება. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება შესაბამის შემთხვევათა რაოდენობაზე.

მაგალითისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის „ფორმა 1"-ის („საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი შემოსულობები") მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში 2017 წლის განმავლობაში მობილიზებულმა თანხებმა სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით შეადგინა 10 497 ლარი, ხოლო 2016 წელს კი 11 742 ლარი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აღარ მოხდება ცალკეული საქმეების სხვა ინსტანციებში გადაცემა და მათ აღსრულებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის ასიგნებებიდან.

ასევე, ვინაიდან, ცალკეული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები (მუხლი 152^3) აღარ იქნება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი, აღნიშნულ სასამართლოებს შეუმცირდებათ საქმეები და მასთან დაკავშირებული ხარჯების რაოდენობა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირთა მიმართ, ვისაც შეეხება აღნიშნული კანონპროექტი. კერძოდ, ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკეულ შემთხვევებში ჯარიმების ოდენობების მნიშვნელოვნად ზრდა, ასევე ხდება დაჯარიმების ახალი შემთხვევის (მუხლი 153^6 მე-4 ნაწილი) დამატება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტის მიხედვით, ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკეულ შემთხვევებში ჯარიმების ოდენობების მნიშვნელოვნად ზრდა, ასევე ხდება დაჯარიმების ახალი შემთხვევის (მუხლი 153[6] მე-4 ნაწილი) დამატება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

პარლამენტის წევრი ზაზა გაბუნია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრები: ზაზა გაბუნია, არჩილ თალაკვაძე, მარიამ ჯაში, ბექა ოდიშარია და ალექსანდრე ქანთარია